ავტომატური კრიტერიუმები	გრადაცია (ცვლადი)	წონა	შინაარსობრივი კრიტერიუმები	გრადაცია (ცვლადი)	წონა	განმარტებები
ინტელექტუალურ სერვისზე ორიენტირებული პროექტის პრიორიტეტულობა; მაღალი ინკლუზიურობის მქონე სექტორებზე ორიენტირებული პროექტების პრიორიტეტულობა;	1	2	მთავარი იდეა	3	35.0	0 = არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ან ბიზნესიდეის წაკითხვის შედეგად ვერ ირკვევა ბიზნესიდეის არსი; 1 = ინფორმაცია წარმოდგენილია ნაწილობრივ და პროექტის განხორციელება საეჭვოა; 2 = ინფორმაციის უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია, თუმცა - საჭიროებს დაზუსტებას; 3 = ინფორმაცია ყველა აუცილებელ საკითხზე არის სრულყოფილად წარმოდგენილი და ბიზნესიდეის განხორციელება რეალისტურია.
განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებული პროექტის პრიორიტეტულობა;	1	2	თანადაფინანსების თანხით შესაძენი აქტივები	2	6.0	0 = დაგეგმილია არარელევანტური ან/და იმ აქტივების შეძენა, რომელიც არ შეესაბამება პროგრამის პირობებს; 1 = დაგეგმილია ბიზნესისთვის ნაკლებად რელევანტური აქტივების შეძენა ან/და დაგეგმილი ხარჯები (ფასი) არალოგიკურია; 2 = დაგეგმილია მხოლოდ ბიზნესისათვის აუცილებელი აქტივების შეძენა შესაბამის ფასად.
ახალი ბიზნესის წამოწყება	1	2	თანადაფინანსების ათვისების ვადა	1	0	0 = თანადაფინანსების ათვისების ვადა მნიშვნელოვნად (10 დღით) სცდება პროგრამით განსაზღვრულ ვადებს; 1 = თანადაფინანსების ათვისების ვადა შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ ვადებს.
ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება	1	2	თანამონაწილეობით თანხით შესაძენი აქტივები	2	6.0	0 = დაგეგმილია არარელევანტური აქტივების/შესასრულებელი სამუშაოს შესყიდვა; 1 = დაგეგმილია ბიზნესისთვის ნაკლებად რელევანტური აქტივების/შესასრულებელი სამუშაოს შესყიდვა ან/და დაგეგმილი ხარჯები (ფასი) არალოგიკურია; 2 = დაგეგმილია მხოლოდ ბიზნესისათვის აუცილებელი აქტივების/შესასრულებელი სამუშაოს შეძენა შესაბამის ფასად.
სოფლად ბიზნესის დაწყება/გაფართოება;	1	2	თანამონაწილეობის ათვისების ვადა	1	0	0 = თანამონაწილეობის ათვისების ვადა მნიშვნელოვნად (10 დღით) სცდება პროგრამით განსაზღვრულ ვადებს; 1 = თანამონაწილეობის ათვისების ვადა შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ ვადებს.
მაღალმთიან სოფელში ბიზნესის დაწყება/გაფართოება;	1	2	სამიზნე ბაზარი	2	12.0	0 = არ არის წარმოდგენილი არანაირი ინფორმაცია სამიზნე ბაზრის შესახებ ან/და მოყვანილი მაგალითები არარეალისტურია; 1 = წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია ან/და დეტალურად არ არის განმარტებული პროდუქტის/სერვისის მომხმარებელი და მიწოდების ადგილი; 2 = დეტალურად არის აღწერილი/გათვლილი სამიზნე ბაზრის კომპონენტები და წარმოდგენილი ინფორმაცია რეალისტურია;
იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება.	1	2	სავარაუდო შემოსავლები	2	12.0	0 = არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაგეგმილი შემოსავლების შესახებ ან/და წარმოდგენილი ინფორმაცია არარეალისტურია; 1 = წარმოდგენილი გათვლები ნაკლებად რეალისტურია. მოთხოვნილი ინფორმაცია არ არის სრულყოფილი; 2 = ნაჩვენებია ბიზნეს მიერ დაგეგმილი ყველა პროდუქტის ან მომსახურების შემოსავალი. დაგეგმილი შემოსავლის მიღების ვადები და ოდენობა რეალისტურია;
			განმცხადებლის გამოცდილება და ფუნქცია მოვალეობები	3	15.0	0 = განმცხადებელს არ გააჩნია პროდუქციის საწარმოებლად/მომსახურების გასაწევად საჭირო სპეციფიური გამოცდილება და კვალიფიკაცია; 1 = აღნიშნულ სფეროში განმცხადებლის კვალიფიკაცია ნაკლებად რელევანტურია, თუმცა აქვს გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება; 2 = წარმოდგენილი ინფორმაცია გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ არის ზოგადი და საჭიროებს დაკონკრეტებას; 3 = განმცხადებლის ფუნქცია-მოვალეობის შესაბამისი კვალიფიკაცია, განათლება და პრაქტიკული გამოცდილება სრულფასოვნად არის აღწერილი და რელევანტურია მოცემული ბიზნესისთვის.
	ჯამი	**14**		**ჯამი**	**86.0**	
			საბოლოო შეფასება	**100.0**		